



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის განათლების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
--------------------------------------	--

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Georgian language preparation educational program
---	---

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	-
---	---

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
--------------------------------	------------

სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	არ ენიჭება
ქართულად:	
ინგლისურად:	
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებით 01/01-64.
პროგრამის განახლების თარიღი	
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	მარიამ მანჯგალაძე (ხელმძღვანელი) შალვა ტაბატაძე (თანახელმძღვანელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამა არის 60 ECTS კრედიტიანი, რომელიც განაწილებულია 2 სემესტრზე და ყოველი სემესტრი მოიცავს 30 ECTS კრედიტს.

შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა, მათ შორის, დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 30 ECTS კრედიტი, პირველი სემესტრის ფარგლებში, დაეთმობა სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) მქონე სტუდენტთა დონის გათანაბრებას მეორე სემესტრის ერთიანი სავალდებულო კურსისთვის, რისთვისაც სტუდენტები ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე (წერიითი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩაბარების გზით განისაზღვრება) საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განაწილებიან A და B ბლოკის ჯგუფებში.

მეორე სემესტრის ფარგლებში 20 ECTS კრედიტი დაეთმობა ქართული ენის ერთიან სავალდებულო კურსს, გარდა ამისა, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების სავალდებულო კომპონენტი (5 კრედიტი), შემდეგი კურსის სახით: „ტოლერანტობა და მრავალფეროვანი სამყარო“, იგი საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში), კავკასიის უნივერსიტეტი ჩართული იყო ამ პროექტში (პროფ. მარიამ მანჯგალაძე იღებდა მონაწილეობას) და ოფიციალურად გახდა უნივერსიტეტთაშორისი ქსელის წევრი (უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებაშიც).

ამავე სემესტრში სტუდენტები ისწავლიან 5 ECTS კრედიტიან სავალდებულო- არჩევითი სტატუსის მქონე დარგობრივ მოდულს 4 მიმართულებით (ჰუმანიტარული და სოციოლოგია; ბიზნესი და ტექნოლოგიები; საჯარო მართვლობა; მედიცინა და ჯანდაცვა), 6 ქვემიმართულებაზე (დარგობრივი ენა - ჰუმანიტარული მეცნიერებები; დარგობრივი ენა - განათლება და სოციალური მეცნიერებები, მედია და კინო ენა; დარგობრივი ენა - ტექნოლოგიები; დარგობრივი ენა - ბიზნესი, ეკონომიკა, ტურიზმი; დარგობრივი ენა - სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფო მართვა; დარგობრივი ენა - მედიცინა და ჯანდაცვა). ეს არჩევითი დარგობრივი კურსები შეიქმნა სტუდენტთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური ენობრივი კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა (რეალურად, არჩევანი მოიცავს კავკასიის უნივერსიტეტის ყველა სკოლის მიმართულებას) დამახასიათებელი.

ქართული ენის სწავლის პროცესში სტუდენტების მხარდაჭერის, დარგობრივ სპეციფიკაში პრაქტიკული უნარების გაღრმავების, ინტერკულტურული ურთიერთობებისა და „სხვა რამის“ ახლის აღმოჩენის უნარის (სხვა ენა, კულტურა, ახალი ადამიანები თუ ცოდნის ახალი სფერო) გაუმჯობესებისათვის სტუდენტებს ექნებათ საშუალება დარგობრივი პრაქტიკა გაიარონ კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში ფაკულტეტების/სკოლების დახმარებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების, ხოლო ოსურენოვან და აფხაზურენოვან საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებს მხოლოდ აფხაზური ან ოსური ენის გამოცდების შედეგების საფუძველზე. სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის განათლების სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და სკოლის დეკანი, მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე, სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>კავკასიის განათლების სკოლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მისია არის არაქართულენოვანი სკოლების საკოლადამთავრებელი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ქართული ენის ცოდნისა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულენოვან პროგრამებზე სწავლის გაგრძელების თანაბარი სასტარტო პირობების შექმნით; პროგრამის სტუდენტთა შემდგომი წარმატების, ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის სხვა აბიტურიენტებთან თანაბარ და სამართლიან პირობებში ჩაყენება. პროგრამის მისია შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.</p> <p>მისიიდან გამომდინარე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ენათა ზოგადევროპულ ჩარჩოზე (CEF) დაყრდნობით განსაზღვრული მინიმალური ენობრივი კომპეტენციის სავალდებულოდ დაუფლება, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ მოიპოვოს სწავლის გაგრძელების უფლება კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ნებისმიერი სპეციალობით, ასევე მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო ქართულენოვან პროგრამაზე.</p> <p>ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენციის სავალდებულოდ დაუფლება გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ლექციის/ზეპირი მოხსენების მოსმენას, გაგება-გააზრებას; ✓ დარგობრივი ლიტერატურის გაცნობას და გაგებას; ✓ აუდიტორიაში (სემინარზე, პრაქტიკუმზე) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას; ✓ მოცემული დავალების წერითი და ზეპირი ფორმით შესრულებას; ✓ საშინაო დავალებების მომზადებას და ქართულ ენაზე პრეზენტაციას. <p>კავკასიის განათლების სკოლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რაც მდგომარეობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p style="text-align: center;">ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ</p> <p>სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:</p> <p>შედეგი 1. სტუდენტს აქვს ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია - ლექსიკური მარაგის სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით, გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნის და აგებს კონსტრუქციებს ქართული ენის ნორმების მიხედვით (ლაპარაკი, მოსმენა, წერა, კითხვა).</p> <p>1.1. თანმიმდევრულად იყენებს სახელმწიფო ენაზე ლექსიკური ერთეულებს და აყალიბებს გააზრებულ წინადადებებს ზეპირად და წერილობით; გააზრებულად კითხულობს/იგებს ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში.</p>

- 1.2. იცის მორფოლოგიური და სინტაქსური წესების პრაქტიკულად გამოყენება; აყალიბებს ლოგიკურად და გრამატიკულად გამართულ წინადადებებს.
- 1.3. მიჯნავს/არჩევს აკადემიურ და ყოფით ტექსტებს ერთმანეთისგან და იყენებს შესაბამის ენობრივი ფორმებს; ისმენს, იაზრებს და წერილობით ან ვერბალური გზით, რეალურად, უშეცდომოდ გადმოსცემს სათქმელს.
- 1.4. შეუძლია მანიპულირება ვერბალური და არავერბალური საშუალებებით - ენის შეზღუდულად ფლობის პირობებშიც კი, გადაფარავს არსებულ ხარვეზს (სტრატეგიული კომპეტენციის გამოყენება).

შედეგი 2. სტუდენტს აქვს სოციოლინგვისტური კომპეტენცია (ლაპარაკი, მოსმენა) და ენობრივი ფორმებს, კონტექსტის შესაბამისად, შეარჩევს და გამოიყენებს (ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას), ლინგვოპრაგმატიკის წესების გათვალისწინებით.

- 2.1. იგებს საკითხის/პრობლემის არსს წაკითხულიდან და მოსმენილიდან და ვერბალურად და წერილობით გადმოსცემს კონტექსტიდან გამომდინარე: ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას.
- 2.2. შეარჩევს და გამოიყენებს ინტონაციას და სხვისი ინტონაციის მიხედვით ამოიცნობს მოდალობის(მოსმენის კომპონენტი), თანმიმდევრულად გადმოსცემს სიუჟეტს.
- 2.3. მომზადების გარეშე იღებს მონაწილეობას საუბარში და გადმოსცემს საკუთარ აზრს.

შედეგი 3. სტუდენტს აქვს დისკურსული კომპეტენცია - ერკვევა ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში, მის ნაწილებს შორის კავშირს იგებს და იაზრებს (მოსმენა, წერა, კითხვა); იცის დისკურსის ზოგადი წესები.

- 3.1. იცის წერის/კითხვის/ლაპარაკის/მოსმენის სტრატეგიები და აზრს თანმიმდევრულად აყალიბებს (ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში) წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე, დისკურსის წესების გათვალისწინებით.
- 3.2. ისმენს, იგებს, იაზრებს და თავად აყალიბებს სათქმელს, სვამს შეკითხვებს, აზუსტებს სათქმელს, ხსნის და ასაბუთებს საკუთარ აზრებს ან ვარაუდებს, აჯამებს და გადმოსცემს.
- 3.3. განსაზღვრავს საჭირო სტრატეგიებს კონკრეტული სამეტყველო აქტის შესაბამისად.

შედეგი 4. სტუდენტს აქვს სოციოკულტურული კომპეტენცია: არსებულ სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირებს - აზრს გამოთქვამს, კამათობს, დისკუსიას წარმართავს და იყენებს პრეზენტაციის სტრატეგიებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) ქართულ სოციუმში დამკვიდრებული სტანდარტების დაცვით:

- 4.1. იყენებს ენას ვერბალურად და წერილობითი გზით, სოციალური კონტექსტის შესაბამისად.
- 4.2. განსაზღვრავს კომუნიკაციის სწორ სტრატეგიებს შესაბამისი სიტყვების, გამოთქმების გამოყენებით და აყალიბებს პოზიციას საკითხის, გარემოს, სიტუაციის შესახებ არსებული სოციალურ-კულტურული და ლინგვისტური ნორმების დაცვით.
- 4.3. არჩევს გარემოსათვის შესაბამის/მისაღებ თემებს; წარმართავს დისკუსიას, აზრის გამოთქმას, მსჯელობას, მოსმენას, გაგებას სხვადასხვა სოციალური კლასის წარმომადგენლებთან.

შედეგი 5. სტუდენტს აქვს ინტერკულტურული კომპეტენცია - აქვს მზაობა იცხოვროს მრავალფეროვან სამყაროში და პოზიცია ეთიკის ნორმების დაცვით გამოხატოს (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი).

	<p>5.1. საკუთარ პოზიციას გამოხატავს თემატურად, ადეკვატურად და ეთიკის ნორმების დაცვით.</p> <p>5.2. იცის მრავალფეროვან სამყაროში ქცევის წესები და, ზოგადად, შემწყნარებელია განსხვავებული აზრების მიმართ.</p> <p>5.3. წარმართავს დისკუსიას თემატურ საკითხებზე და, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად, შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, ამზადებს პრეზენტაციას.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ კავკასიის უნივერსიტეტში.</p>
<p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ნებისმიერი სპეციალობით, ასევე მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართულ ენაზე.</p>

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში

განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, სამინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, და სხვ. ფორმატში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერილი დავალებები, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ილუსტრირების, ახსნა-განმარტებითი და სხვ., რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში, სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, აქცენტი გაკეთდება სტუდენტების მიერ სწავლის სწავლაზე, რათა მათ შეძლონ ყოველი დავალების თითოეულ ეტაპზე საჭირო სტრატეგიების გამოყენება.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება ზემოხსენებული სწავლების ყველა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში კი მეთოდთა შერწყმაც იქნება აუცილებელი.

პროგრამის განხორციელების პირველი სემესტრის დაწყებამდე ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე (წერილი და კითხვის უნარები - წერილი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები აუდიო და ზეპირი ინტერვიულ ჩატარების საფუძველზე) სტუდენტები განაწილდებიან A და B დონის/ბლოკების ჯგუფებში, რომელთა შორისაც A დონის/ბლოკების ჯგუფების სტუდენტები გაივლიან ოთხივე მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) ენის სწავლების ინტენსიურ კურსს და შესაბამისად დაეთმობათ მეტი საკონტაქტო საათი და ტუტორებისაგან მიიღებენ აქტიურ დახმარებას. A ბლოკის სტუდენტებთან მუშაობისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ახსნა-განმარტებითსა და ილუსტრირების მეთოდებზე სხვა საჭირო, აპრობირებულ მეთოდებთან ერთად.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას, რაც ხელს შეუწყობს მიღებული ცოდნის ეტაპობრივ რეალიზებას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- 3 აფილირებული პროფესორი
- 2 ასოცირებული პროფესორი
- 3 მოწვეული სპეციალისტი

პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის განათლების სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებთან.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas“ (პოლონეთი)
- ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- კიბის საერთაშორისო უნივერსიტეტი (იაპონია)

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; საჯარო და კერძო სკოლები:

1. სპს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა-ლიცეუმი „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე“
2. სსიპ თბილისის 212-ე საჯარო სკოლა
3. შპს „ახალი ლიცეუმი“
4. სსიპ ქ. თბილისის #64 საჯარო სკოლა
5. შპს „თბილისის მწვანე სკოლა“
6. შ.პ.ს. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“
7. სსიპ ქ. თბილისის #133 საჯარო სკოლა
8. სსიპ ქ. თბილისის #122 საჯარო სკოლა
9. სსიპ ქ. თბილისის #123 საჯარო სკოლა
10. სსიპ თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა
11. სსიპ ქ. თბილისის #136 საჯარო სკოლა
12. სსიპ ქ. თბილისის #89 საჯარო სკოლა
13. შპს „ახალი ქართული გიმნაზია“
14. სსიპ ქ. თბილისის #155 საჯარო სკოლა
15. შპს „რობერტ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი - პროგრამა „ა-Z“
16. შპს „აიბი მთიები“

კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ა.ი.პ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი
- მწერალთა სახლი
- ა(ა)იპ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
- ჯუნიორ ეჩივმენტი;
- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი;
- განათლებისა და კვლევების ცენტრი;
- ა(ა)იპკავშირი „ მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია“
- ა(ა)იპ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
- შპს „ეიჩარ პროფესიონალთა გილდია“

დარგობრივი მოდულის გათვალისწინებით სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა არჩეული მიმართულებებიდან გამომდინარე, კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლების დახმარებით,

პრაქტიკა გაირონ პროგრამისათვის რელევანურ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში (<https://cu.edu.ge/about-us/about-the-university/partnership-cu>).

კავკასიის უნივერსიტეტი არის უნივერსიტეტთაშორისი ქსელის წევრი ((ოსუ, ილიაუნი, სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, პოლიციის აკადემია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით გამოცდილების ურთიერთგაზიარება, უმცირესობათა ინტეგრაციის მიმართულებით ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, ტოლერანტობისა და მიმღებლობის კომპეტენციების ამაღლება სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (9454 ერთეული ბეჭდური ლიტერატურა). ბიბლიოთეკაში ასევე მოქმედებს: ელექტრონული კატალოგი OpenBiblio-<http://library.cu.edu.ge/opac/index.php> და ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://ebooks.cu.edu.ge/> რომელიც განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის. ელექტრონული ბიბლიოთეკის დასათვალისწინებლად და ბიბლიოთეკაში არსებული მასალის ჩამოსატვირთად საჭიროა კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.
- ასევე ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა შემდეგ ქსელებთან:
 - [EBSCO HOST](#)
 - [ScienceDirect](#)
 - [Scopus](#)
 - [Sci-val Funding\(Funding Institutional\)](#)
 - [HeinOnline](#)
 - [Taylor and Francis](#)
 - [Math Scientific Publishing \(MSP\)-Journals](#)
- უნივერსიტეტის განკარგულებაშია შემდეგი რესურსები:
 - კომპიუტერები
 - All-in-One: 160
 - Laptop: 20
 - Netbook: 55
 - Desktop PC: 125
 - პროექტორი: 60
 - პრინტერი: 100
 - საგამოცდო ცენტრის ასლგადამღები მანქანები: 2 ცალი შავ-თეთრი, 1 ცალი ფერადი
 - 500 ცალი ქსელის წერტილი
 - უსადენო ქსელი
 - Cisco-ს ქსელური ინფრასტრუქტურა
 - IBM და HP-ს სერვერები
 - კომპიუტერული კლასი: 7

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	სწავლების წელი		ECTS კრედიტი
				E ECTS კრედიტი		
				I სემესტრი	II სემესტრი	
1.	GLL 01141	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა)-1.1	5		5
2.	GLS 01141	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)-1.1	5		5
3.	GLW 01141	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა)-1.1	5		5
4.	GLR 01141	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა)-1.1	5		5
5.	GLC 01141	პრეტესტი	კომუნიკაციური გრამატიკა -1.1	5		5
6.	GLP 01141	პრეტესტი	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1	5		5
7.	GLL 01142	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა)-1.2	5		5
8.	GLS 01142	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)-1.2	5		5
9.	GLW 01142	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა)-1.2	5		5
10.	GLR 01142	პრეტესტი	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა)-1.2	5		5
11.	GLC 01142	პრეტესტი	კომუნიკაციური გრამატიკა -1.2	5		5
12.	GLP 01142	პრეტესტი	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.2	5		5
13.	GLP 0214	GLP 01141, GLP 01142	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 2		5	5
14.	FW 0214	GLW 01141, GLW 01142	ფუნქციური წერის საფუძვლები		5	5
15.	GLLS 0214	GLL 01141, GLL 01142, GLS 01141, GLS 01142	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა - ლაპარაკი)-2		5	5
16.	GLL 0214	GLL 01141, GLL 01142, GLS 01141, GLS 01143	ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ლიტ. ტექსტების მიხედვით		5	5
17.	TOL 0214	GLL 01141, GLL 01142, GLS 01141, GLS 01142, GLW 01141, GLW 01142, GLR 01141, GLR 01142	ტოლერანტობა და მრავალფეროვანი სამყარო (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსი)		5	5
			არჩევითი საგნები:			5
18.	SL 02141	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (ჰუმანიტარული მეცნიერებები)		5	5
19.	SL 02142	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (განათლება და სოციალური მეცნიერებები, მედია და კინო ენა)		5	5
20.	SL 02143	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (ტექნოლოგიები)		5	5
21.	SL 02144	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფო მართვა)		5	5
22.	SL 02145	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (მედიცინა და ჯანდაცვა)		5	5
23.	SL 02146	GLR 01141, GLR 01142	დარგობრივი ენა (ბიზნესი, ეკონომიკა, ტურიზმი)		5	5
ECTS კრედიტები				სემესტრში	30	30
				წელიწადში	60	
საგნების/მოდულების რაოდენობა წელიწადში				23		